წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 7-10

გორი 12 03 2025წ.

„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 21 ოქტომბრის N7-28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ჟ" ქვეპუნქტებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (11.03.2025. N262853) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **წარმომადგენლობითმა საბჭომ**

გადაწყვიტა:

1. „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 21 ოქტომბრის N7-28 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილების:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება დანართი 1-ის შესაბამისად;"

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დამტკიცდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება დანართი 2-ის შესაბამისად;"

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული დებულების (დანართი 1):

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება";

გ.ბ) 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.";

გ.გ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურის შემადგენლობაში შედიან: სამსახურის უფროსი, საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით.";

გ.დ) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი სპეციალისტის ფუნქციებია:

ა) საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა;

ბ) უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება;

გ) ურთიერთობების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა სახის ორგანიზაცია-დაწესებულებებთან საუნივერსიტეტო საქმიანობის სრულყოფის მიზნით;

დ) საერთაშორისო ურთიერთობათა სახის წინადადებების რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გავრცელება;

ე) პარტნიორ უნივერსტეტებთან არსებული ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩამოსული უცხოელი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერთა შეხვედრის და საქმიანობის ორგანიზება;

ვ) ინგლისურ ენაში უნივერსიტეტის პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება;

ზ) უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება და ანგარიშვალდებულება მათ წინაშე."

დ) მე-3 პუნქტით დამტკიცებული დებულების (დანართი 2):

დ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება";

დ.ბ) 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.".

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ გადაწყვეტილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

5. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

სპიკერი თამარ მაკასარაშვილი